ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2290382

ნომერი: AR1352906

თარიღი : 29.10.2015

გაცემის თარიღი : 12.11.2015

გაცნობის თარიღი : 26.11.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N53 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ მაცაბერიძე პ/ნ 01005009401
- თბილისი გორის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

2015 წლის 29 ოქტომბერს AR1352906 განცხადებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ზურაბ მაცაბერიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N53-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: N01.13.03.010.054) 2015 წლის 15 მაისის N1896733 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის მიზნით.
სამსახურმა საკითხი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ წარადგინა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა“ საბჭოს 2015 წლის 5 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი N51) განსახილველად.
„ზონალური“ კომისიის გადაწყვეტილებითუარი ეთქვა ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქ. #53–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.13.03.010.054), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხს.

“ზონალური კომისიის“ 2015 წლის 5 ნოემბრის სხდომის (ოქმი N51) რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქეზურაბ მაცაბერიძეს ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N53-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: N01.13.03.010.054) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 15 მაისის N1896733 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.